განმარტებითი ბარათი

დადგენილების პროექტზე „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, ამ ნორმატიული აქტის მიღების საჭიროების დასაბუთება;

რეგლამენტში ცვლილებების შეტანის მიზეზია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან გარკვეული მუხლების შეუსაბამობა და ტექნიკური ხარვეზები, ასევე საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმების არასრულყოფილი შინაარსი, ეს ხარვეზები გამოიკვეთა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, რომელშიც ასახულია ადგილობრივ დონეზე არსებული საზედამხედველო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმატიული და პრაქტიკული პრობლემები და გამოკვეთილია მათი გაუმჯობესების საჭიროება.

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს ჩოხატაურის საკრებულოს რეგლამენტში არსებული საზედამხედველო მექანიზმების დახვეწას, პროცედურების დაზუსტებას, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ნორმების სრულყოფას, ახალი მექანიზმის დამატებას, რაც საბოლოო ჯამში გააძლიერებს საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციას.

უფრო კონკრეტულად, შემოთავაზებულია შემდეგი ცვლილებები:

1. რეგლამენტის მე-9 მუხლი ჩამოთვლის საკრებულოს წევრის უფლებებს, რომლებსაც ის თავისი მანდატის ფარგლებში ახორციელებს როგორც საკრებულოს სხდომებზე, ის მის გარეთ. ამ მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირის ვალდებულებას, რომ შეუფერხებლად მიიღოს საკრებულოს წევრი. წარმოდგენილი ცვლილებით ეს პუნქტი უფრო განივრცობა, კერძოდ, დაემატება საკრებულოს წევრის უფლება, რომ შეუფერხებლად შეხვდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს, როგორც ეს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, გამართული შეხვედრების თაობაზე ინფორმაციას საკრებულოს წევრი ასახავს წლიურ ანგარიშში. პრაქტიკაში ამ ტიპის შეხვედრებს საკრებულოს წევრები ხშირად ატარებენ და ისინი მიმართულია აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის კონტროლისკენ. ამ საქმიანობის მეტი ფორმალიზებისთვის შემოთავაზებულია ამგვარი შეხვედრების დოკუმენტურად დადასტურების შესაძლებლობა, რაც უფრო ნათლად გამოკვეთს საკრებულოს წევრის საზედამხედველო საქმიანობას აღმასრულებელ ორგანოზე. გარდა ამისა, გაიზრდება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტი და მოქალაქეებსაც ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია ამ მექანიზმის გამოყენების თაობაზე.

2. რეგლამენტის მე-5 თავში მოცემულია ნორმები საკრებულოს კომისიისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფი საკრებულოს ცალკე სტრუქტურა და ამავე დროს, საზედამხედველო მექანიზმია, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, უმჯობესია, თუ კომისია და დროებითი სამუშაო ჯგუფი ცალ-ცალკე თავებად გაიწერება რეგლამენტში. ამ მიზნით, მე-5 თავის სათაურში

მიეთითება მხოლოდ კომისიაზე, ხოლო დროებითი სამუშაო ჯგუფის თაობაზე ნორმა ცალკე თავის სახით ჩამოყალიბდება.

3. ცვლილება შედის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტში. ნორმის მოქმედი რედაქცია კომისიებთან დაკავშირებული ცვლილებებისთვის (კომისიის შექმნა, გაუქმება, გაერთიანება) რეგლამენტში ცვლილებების ინიცირებისთვის განსაზღვრავს განსხვავებულ სუბიექტს, ვიდრე ეს რეგლამენტის 131-ე მუხლითაა დადგენილი. ამ განსხვავების მიზეზი დაუსაბუთებელია, შესაბამისად, კომისიასთან დაკავშირებული ცვლილება რეგლამენტში ზოგადი წესით უნდა შევიდეს. ამავე ნორმაში ასევე ზუსტდება, რომ ახალი კომისიის შექმნა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ საერთო რაოდენობა 5-ს არ გადააჭარბებს, როგორც ეს კოდექსითაა დაშვებული. საბოლოოდ, ამ ნორმის შემოთავაზებული რედაქცია ამგვარია: „ახალი კომისიის შექმნა (მაგრამ არა უმეტეს მთლიანობაში 5 კომისიისა), არსებული კომისიის გაუქმება ან კომისიათა გაერთიანება შესაძლებელია რეგლამენტის შესაბამის მუხლში ცვლილების შეტანის გზით ამ რეგლამენტის 131-ე მუხლით დადგენილი წესით."

4. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოთვლის კომისიის უფლებამოსილებებს. მის „ვ" ქვეპუნქტში მოცემულია საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კონტროლი და დასკვნების შეთავაზება. გამომდინარე იქიდან, რომ რეგლამენტი ცალკე ითვალისწინებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კონტროლის პროცედურას და დეტალებს, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, კომისიის უფლებამოსილებათა ამ ჩამონათვალში, „ვ" ქვეპუნქტში ტექნიკურად ჩაემატა შესაბამის მუხლზე მითითება. კერძოდ, ამ რეგლამენტის 27[1] მუხლის შესაბამისად აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს. ამ რედაქციით უფრო ნათელი იქნება, რას გულისხმობს კომისიის ეს უფლებამოსილება და რომ ის უკავშირდება კონკრეტულ მაკონტროლებელ მექანიზმს. გარდა ამისა, ამ მუხლის მე-2 პუნქტი იქნება ამოღებული და მისი შინაარსი გადავა შესაბამის ნორმაში, სრული პროცედურით.

5. კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლი კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებებშიც არის გაწერილი (21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი). ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია, თუ როგორ და რა პროცედურით აკონტროლებს კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებას. მიზანშეწონილია ის კონკრეტულ მაკონტროლებელ მექანიზმს დაუკავშირდეს. შესაბამისად, აღნიშნულ პუნქტში ტექნიკურად მიეთითება რეგლამენტის შესაბამის მუხლზე (კომისიის მსგავსად). კერძოდ, პუნქტის ფორმულირება იქნება შემდეგი: ამ რეგლამენტის 27[1] მუხლის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

6. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადების მოქმედი რედაქციის მიხედვით, კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომაზე ხდება ფუნქციების განაწილება კომისიის წევრებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიის წევრებისგან კომისიის სამუშაო ჯგუფების შექმნა. თავისი შინაარსით ეს ფორმულირება წარმოადგენს თემატური მომხსენებლის განსაზღვრას კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. თემატური მომხსენებელი, ამ სახელწოდებით არსებობს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და ეს უფლება

კომიტეტებს გააჩნიათ. ის თავისი არსით, მაკონტროლებელი მექანიზმია. თუმცა, საკრებულოს რეგლამენტი სხვა დამატებით პროცედურას მასთან მიმართებით არ გაწერს. ამ ინსტრუმენტის უფრო მეტად ფორმალიზებისა და გაძლიერების მიზნით, რეგლამენტის შესაბამისი ნორმით შემოთავაზებულია თემატური მომხსენებლის ინსტიტუტის შემოღება. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადება კი ამოღებული იქნება ნორმიდან.

7. კომისიის თავში რეგლამენტს ემატება ხუთი მუხლი, რომლებიც გაწერენ კომისიის საზედამხედველო მექანიზმებს აღმასრულებელო ორგანოს სისტემის მიმართ. რამდენიმე მექანიზმი უკვე არსებობს რეგლამენტში, თუმცა ისინი საკანონმდებლო ტექნიკისა და რეგლამენტის სისტემური გამართულობის თვალსაზრისით კომისიის თავში გადმოვიდა, ამასთან, დაემატა ერთი ახალი მექანიზმი - თემატური მოკვლევა, ხოლო სხვები დაზუსტდა და დაიხვეწა. უფრო კონკრეტულად:

ა) 27[1] მუხლის სახით წარმოდგენილია მექანიზმი - კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე. ის ჩამოყალიბდა საქართველოს პარლამენტში არსებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მსგავსად, თუმცა მისგან განსხვავებით, საკრებულოს დონეზე ეს კონტროლი არა მხოლოდ ნორმატიულ აქტებს (საკრებულოს დადგენილებებს) შეეხება, არამედ ინდივიდუალურ აქტებსა და კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (მათ შორის, დასკვნებს, რეკომენდაციებს). ნორმაში გაიწერა ამ მექანიზმის გამოყენების მიზნები - მერიის სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება, მათი შესრულების მდგომარეობის და ეფექტიანობის შესწავლა და გაანალიზება, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების, სამართლებრივი აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების იდენტიფიცირება, აგრეთვე მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განხილვა. არსებულ რეგულირებას დაემატა კომისიის უფლებამოსილება ამ მექანიზმის გამოყენების პროცესში, კერძოდ, საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, აგრეთვე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლის მიზნით, კომისია უფლებამოსილი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტები, რეგლამენტით დადგენილი წესით მოიწვიოს თანამდებობის პირები კომისიის სხდომაზე.

წარმოდგენილი რედაქციით ასევე ზუსტდება, რომ ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი კომისიამ უნდა დაიწყოს ამ აქტის მიღებიდან 1 წლის შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის კონტროლის განსახორციელებლად შესაბამისი აქტის გარკვეულ პერიოდში მოქმედებაა საჭირო, 1 წელი გონივრული ვადაა იმისთვის, რათა მუნიციპალიტეტის დონეზე უკვე გამოჩნდეს აქტის მოქმედების შედეგები და თუ ხარვეზები იკვეთება, დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები. ხოლო ინდივიდუალური აქტებისა და კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლი რუტინულად, მათი ამოქმედებისთანავე უნდა დაიწყოს კომისიამ.

კონტროლის პროცედურის განხორციელების შემდეგ, გათვალისწინებულია წერილობითი ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებაც. კერძოდ, კომისია მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, სამართლებრივი აქტების) აღსრულების კონტროლის განხორციელების თაობაზე შეიმუშავებს ანგარიშს, რომელშიც მიეთითება შესაბამისი გადაწყვეტილების შინაარსი,

აღმასრულებელი უწყების მოვალეობები, კონტროლის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები, გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. ეს ნორმა უფრო ფორმალიზებულსა და დოკუმენტურად დადასტურებადს გახდის კომისიის მუშაობას და შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმი კომისიისაა, გათვალისწინებულია ისიც, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კომისიას შეუძლია გადაწყვიტოს, შედეგები წარუდგინოს საკრებულოს და საკრებულოს სხდომაზე მოხდეს მისი განხილვა. სხდომაზე კომისიის მოხსენება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულების მდგომარეობის, ეფექტიანობის, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო შესწორებების შეტანის შესახებ. ინფორმაციების მოსმენის შემდეგ საკრებულოს შეეძლება შეაფასოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულების მდგომარეობა და უფლებამოსილი იქნება დააყენოს შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

ბ) 27^2 მუხლის სახით რეგლამენტს ემატება მერიის სამსახურების მიმართ კონტროლის განხორციელების მექანიზმი. ეს ნორმაც არსებობს რეგლამენტის მოქმედ რედაქციაში, თუმცა, მისი არასისტემური და არასრულყოფილი შინაარსის გამო, საჭირო გახდა პროცედურის დაზუსტება. ახალ რედაქციაში ემატება პერიოდი, თუ როდის მოისმენენ კომისიები თავიანთი დარგების მიხედვით მერიის შესაბამისი სამსახურების გაწეული საქმიანობის ანგარიშს. კერძოდ, საკრებულოს კომისიები დარგების მიხედვით გააკონტროლებენ მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობას, წელიწადში ერთხელ მოისმენენ მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს და დასკვნებს და წარუდგენენ საკრებულოს სხდომას განსახილველად. გამომდინარე იქიდან, რომ ეს მექანიზმი მერიის პროაქტიულ ვალდებულებას ეხება, გაიწერება შესაბამისი ფორმულირება და ვადაც: მერიის სამსახური ყოველი წლის 1 თებერვლამდე საკრებულოს შესაბამის კომისიას წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს. შესაძლებელი იქნება მერიის რომელიმე სამსახურის ანგარიში რამდენიმე კომისიამაც მოისმინოს. ახალი რედაქციის მიხედვით, განისაზღვრება ამ ანგარიშების განხილვის ვადაც და ეს იქნება ანგარიშის წარდგენიდან 2 თვე. მექანიზმის სრულყოფილად და ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, გათვალისწინებულია ანგარიშის შეფასების შესაძლებლობაც. კერძოდ, კომისია განხილვის შედეგად სამსახურის საქმიანობას შეაფასებს დადებითად, დამაკმაყოფილებლად ან უარყოფითად, რის თაობაზეც მიიღებს დასკვნას. არსებობის შემთხვევაში, დასკვნაში აისახება კომისიის რეკომენდაციები შესაბამისი სამსახურის მიმართ. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება, კომისიის წარდგინებით, ეს ანგარიშები საკრებულოს სხდომამაც განიხილოს. გათვალისწინებულია საკრებულოს მიერ ანგარიშის შეფასება და რეკომენდაციების გაცემაც საკრებულოს სახელით.

გ) 27^3 მუხლით რეგლამენტს ემატება თემატური მომხსენებლის ინსტიტუტი, რომელიც ფაქტობრივად ჩაანაცვლებს საკრებულოში ამჯერად არსებულ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც, კომისიები, პირველ საორგანიზაციო სხდომაზე საკითხებს თემატურად ანაწილებდნენ წევრებს შორის და განსაზღვრავდნენ მათზე პასუხისმგებელ პირებს. წარმოდგენილი რეგულირებით, ეს მექანიზმი უფრო ფორმალიზებული და ეფექტიანი გახდება პრაქტიკაში გამოსაყენებლად. კერძოდ, ახალი ნორმის მიხედვით, საკრებულოს სამართალშემოქმედებითი, საზედამხედველო და სხვა საქმიანობის უკეთ წარმართვის,

აგრეთვე საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის და საკრებულოს წევრთა შორის შრომის განაწილების მიზნით კომისიის წევრი კომისიის კომპეტენციის ფარგლებში, იქნება თემატური მომხსენებელი. მისი სამუშაო სფერო/სფეროები ან მიმართულება/მიმართულებები განისაზღვრება ყოველწლიურად, კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. ეს წესი განსხვავდება მოქმედი რეგულირებისგან, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ახალი მოწვევის საკრებულოს ფუნქციონირების დაწყებისას ნაწილდებოდა ფუნქციები. ამასთან, ის დაუკავშირდება კომისიების ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს. ამ მუხლით განისაზღვრება აგრეთვე თემატური მომხსენებლის დანიშვნის პროცედურაც: კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს, მათი ინიციატივის გათვალისწინებით, კომისიის სამუშაო გეგმის ვადით ნიშნავს თემატურ მომხსენებლებად. კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სამუშაო სფეროსთვის/მიმართულებისთვის პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი თემატური მომხსენებელი საკრებულოს უმრავლესობაში შემავალ საკრებულოს წევრთაგან და, სურვილის შემთხვევაში, ერთი თემატური მომხსენებელი იმ ფრაქციების წევრთაგან და უფრაქციო საკრებულოს წევრთაგან, რომლებიც შედიან ოპოზიციაში. თუ უმრავლესობა შექმნილი არაა, იგივე წესი გავრცელდება ფრაქციებზე. ერთსა და იმავე სამუშაო სფეროში/მიმართულებაში მესამე და ყოველი მომდევნო თემატური მომხსენებლის დანიშვნა დასაშვები იქნება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

თუ კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაო სფეროში/მიმართულებაში არავინ გამოთქვამს თემატურ მომხსენებლად ყოფნის სურვილს, კომისიის თავმჯდომარე თავად განსაზღვრავს თემატური მომხსენებლების ვინაობას. კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, თემატური მომხსენებლების ერთიანი სია, შესაბამისი სამუშაო სფეროს/მიმართულების მითითებით, კომისიების მიხედვით გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე. ამ მექანიზმის ეფექტიანობის მიზნით, თემატური მომხსენებელი ვალდებული იქნება კომისიის კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხები (მათ შორის, სამართლებრივი აქტების პროექტები) მისთვის მიკუთვნებული სამუშაო სფეროს/მიმართულების მიხედვით გააანალიზოს და მოამზადოს მოხსენება, რომელსაც საკითხის განხილვისას წარუდგენს კომისიას.

დ) რეგლამენტს ემატება ახალი საზედამხედველო მექანიზმი, ეს არის თემატური მოკვლევა. ეს ინსტიტუტი ბოლო რამდენიმე წელია არსებობს საქართველოს პარლამენტში და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევების მეთოდით შეისწავლის კომიტეტების კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებს. რეგლამენტში შემოთავაზებული ნორმით გაიწერება ამ მექანიზმის მიზნები, განხორციელების პროცედურა და შედეგები. ის იქნება არსებითად კომისიის და გენდერული თანასწორობის საბჭოს მექანიზმი, თუმცა შესაძლებელი იქნება საკრებულოს სხდომაზეც შედეგების მოსმენა და რეაგირება. რეგულირება შემოთავაზებულია პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით.

უფრო კონკრეტულად: აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, საკრებულოს წევრთაგან, კომისიის ან გენდერული თანასწორობის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან აირჩევს მთავარ მომხსენებელს. კომისიის წევრი უფლებამოსილი იქნება კომისიას წარუდგინოს შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების

გათვალისწინებით მომზადებული თემატური მოკვლევის საკითხი/საკითხები. აღნიშნულ საკითხზე/საკითხებზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს კომისია. ამავე წესით, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრის მიერ წარდგენილი აქტუალური საკითხიდან/საკითხებიდან გამომდინარე, საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ. თემატური მოკვლევის საკითხი და ინფორმაცია საკრებულოს იმ წევრთა შესახებ, რომლებმაც დაადასტურეს მოკვლევაში მათი მონაწილეობა, წარედგინება საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

თუ აღმოჩნდება, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მოკვლევის სურვილი გამოითქვა სხვადასხვა კომისიაში, საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მოკვლევაში მონაწილე საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ. მოკვლევის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა თემატური მოკვლევის ჯგუფი ვალდებული იქნება უზრუნველყოს მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსება. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საკითხის დასახელებასა და მოკლე აღწერას, ინფორმაციას საკითხზე მომუშავე საკრებულოს წევრის/წევრების შესახებ, აგრეთვე დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესსა და ვადებს.

საკითხზე მომუშავე თემატური მოკვლევის ჯგუფი შეადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და გრაფიკს, განსაზღვრავს მის შესწავლაში მონაწილე სპეციალისტებს, უხელმძღვანელებს საკითხის შესწავლას, პასუხისმგებელია საკითხის დამუშავებისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისთვის, სწავლობს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, უფლება ექნება, ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის შესასწავლად საჭირო ინფორმაცია და ახსნა-განმარტება. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულო იქნება გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზედაც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი. საკითხის მოსმენის გამართვის შესახებ ინფორმაცია 1 კვირით ადრე გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

თემატური მოკვლევის ჯგუფი მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში მოამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება საკრებულოს ბიუროს ან შესაბამის კომისიას. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვით. აღნიშნული დასკვნა საკრებულოს ბიუროს წარედგინება, თუ თემატური მოკვლევის ჯგუფი სხვადასხვა კომისიის წევრებისგან შედგება ან საკითხზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება გენდერული თანასწორობის საბჭომ მიიღო. ხოლო თუ საკითხზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას კომისია მიიღებს, თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა წარედგინება კომისიას. კომისია უფლებამოსილი იქნება ეს დასკვნა წარუდგინოს საკრებულოს ბიუროს, ხოლო ეს უკანასკნელი საკითხს შეიტანს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. საკრებულოს სხდომაზე საკითხი განიხილება რეგლამენტის 50-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესით.

საბოლოოდ, დასკვნის საფუძველზე შესაბამისი კომისია ან საკრებულო შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან განახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. კომისიის და საკრებულოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გაეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

ე) კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც ზუსტდება რეგლამენტში, არის კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევა ისეთ საკითხებზე, რომლებიც საკრებულოს ორდინალურ დღის წესრიგში არაა გათვალისწინებული. ახალი რედაქციით მისი სახელწოდება იქნება - კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თავად ეს თანამდებობის პირი ითხოვს კომისიაზე დასწრებას, შესაბამისი ტერმინი განისაზღვრება როგორც კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოსმენა. ახალი რეგულირებით ზუსტდება ამგვარი მოწვევის პროცედურა, გაიწერება ინიციატორები, ვადები და შედეგები. უფრო კონკრეტულად:

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი (მერი, მერის მოადგილე, მერიის სამსახურის უფროსი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი) უფლებამოსილი, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებული იქნება, რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს კომისიის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

ეს პირი ვალდებული იქნება კომისიის სხდომას დაესწროს კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთანავე, ფრაქციას კომისიის სხდომაზე სავალდებულო წესით მოწვევის უფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ მას ამ კომისიაში წევრი ეყოლება დანიშნული. წერილობითი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს კომისიის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. კომისიის სხდომაზე მოწვეულ პირს უფლება ექნება, არ ისაუბროს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც მისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი.

კომისიის სხდომაზე მოწვევის შესახებ კომისიის მოთხოვნას მოსაწვევ პირს ფრაქციის მიმართვიდან ან კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა გაუგზავნის კომისიის თავმჯდომარე. კომისიის სხდომაზე მოწვევის შესახებ მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 1 კვირისა. კომისია მოწვეულ პირს მოუსმენს ამ ვადის გასვლიდან პირველსავე სხდომაზე. ამ წესის შეცვლა შესაძლებელი იქნება მოწვევის ინიციატორსა და მოსაწვევ პირს შორის შეთანხმების შემთხვევაში.

კომისიის სხდომაზე სავალდებულო წესით მოწვეულ პირს სიტყვით გამოსვლისთვის მიეცემა 20 წუთი, რომელიც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 წუთით.

მოწვეული პირის მოხსენების დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრებს უფლება ექნებათ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში. თავდაპირველად შეკითხვას დასვამს მოწვევის ინიციატორი. შეკითხვების დრო სამართლიანად უნდა განაწილდეს ფრაქციებს/უფრაქციო წევრებს შორის. შეკითხვების

დასრულების შემდეგ თანამდებობის პირი საკრებულოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ცალ-ცალკე უპასუხებს.

ახალი რეგულაციით, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია პერიოდულად შეისწავლის კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრებისა და კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოსმენის საკითხს. ამ მიზნით საკრებულოს კომისიები კალენდარული წლის ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიას გაუგზავნიან თანამდებობის პირის მიმართვას კომისიის სხდომაზე მოსმენის მოთხოვნის თაობაზე და კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის შესახებ მოთხოვნებს, აგრეთვე ინფორმაციას კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის დასწრების/მოსმენის გამართვის თაობაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია კომისიებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან 15 დღეში შეისწავლის მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას, მათ შორის, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია აღნიშნული ინფორმაციის შესწავლის შედეგებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

თანამდებობის პირის მიმართვა კომისიის სხდომაზე მოსმენის მოთხოვნის თაობაზე და კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის შესახებ მოთხოვნები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

8. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ამოღებული იქნება 28-ე მუხლი, რომელიც დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობას აწესრიგებს, ხოლო ეს მექანიზმი ახალი თავის სახით ემატება რეგლამენტს.

9. რეგლამენტს ემატება V[1] თავი, რომელიც არეგულირებს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქციონირების პროცედურებს. ნორმაში განისაზღვრება ჯგუფის შექმნაზე ინიციატორი პირები - საკრებულოს თავმჯდომარე, კომისია, ფრაქცია, საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/5.

გამომდინარე იქიდან, რომ კოდექსის მიხედვით ჯგუფის შემადგენლობა და თავმჯდომარე საკრებულომ უნდა დაამტკიცოს, გაიწერა შესაბამისი თანმიმდევრული პროცედურა ამის უზრუნველსაყოფად. იმის გამო, რომ საკრებულოს სხდომები, როგორც წესი, 1 დღის განმავლობაში გრძელდება, ახალ რედაქციაში გაიწერა, რომ ჯგუფის შექმნის თაობაზე პირველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საკრებულო აცხადებს შესვენებას, რომლის დროსაც ბიურო ამტკიცებს დროებით სამუშაო ჯგუფში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, ხოლო ფრაქციები და უფრაქციო წევრები იქ წარადგენენ წევრებს. შესვენების შემდეგ საკრებულო ამ შემადგენლობას, მათ შორის, თავმჯდომარეს, დაამტკიცებს. შესაძლებელია, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს სხდომა მომდევნო დღეს გაგრძელდეს. ამგვარი პროცედურის გაწერის მიზანია, დროებითი სამუშაო ჯგუფის მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი შექმნა არ გადავადდეს მომდევნო თვეში მოწვეული მორიგი სხდომისთვის.

დროებითი სამუშაო ჯგუფის ნორმას ემატება ახალი რეგულაცია: თუ შესაბამისი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩენილია 3 თვეზე ნაკლები, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა დაუშვებელი იქნება. საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე ყველა დროებით სამუშაო ჯგუფს შეუწყდება უფლებამოსილება. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია აღნიშნულ დრომდე წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

10. რეგლამენტის მე-40 მუხლის მიხედვით, ცნობა საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების ადგილის, მორიგი სხდომის დაწყებისა და დამთავრების სავარაუდო თარიღის, სხდომების განრიგის, დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ გამოქვეყნდება სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც ამ რეგლამენტის 128-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ ნორმის არსებობის მიუხედავად, შესაძლოა ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკითხი მაინც დაემატოს დღის წესრიგს. ამ შემთხვევაში დეპუტატები სრულყოფილად ვერ შეძლებენ მასალების გაცნობას და სხდომისთვის მომზადებას. ამის თავიდან ასაცილებლად შემოთავაზებულია, რომ მე-40 მუხლს დაემატოს მესამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით შემოტანილი საკითხი გადაეცემა საკრებულოს მომდევნო სხდომას.

11. რეგლამენტის 53-ე მუხლით განისაზღვრება პროცედურული საკითხების ჩამონათვალი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია „საკრებულოს სხდომაზე საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა თანამდებობის პირთა მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება". ამ საკითხის თაობაზე საკრებულო კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას. ეს ჩანაწერი ბოლომდე ნათელი არ არის. არ ჩანს, რა პროცედურაა ანგარიშვალდებული პირის მოწვევა. თუ ეს არის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მომხსენებლად მოწვევა, არალოგიკურია მომდევნო თვეში დაგეგმილი სხდომისთვის კენჭისყრის მეშვეობით ამის 1 თვით ადრე გაკეთება. ხოლო, თუ ეს მოწვევა გულისხმობს საზედამხედველო მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც დღის წესრიგის მიღმა ხდება თანამდებობის პირების მოწვევა (დაბარება), მაშინ ის პროცედურული საკითხი არაა. გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი ტიპის მოწვევა ამ პროექტით დამატებით არის შემოთავაზებული თავისი სპეციალური პროცედურით, 53-ე მუხლის ჩამონათვალში არსებული ეს ჩანაწერი ამოღებული იქნება.

12. რეგლამენტის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოთვლის საკრებულოში სამართლებრივი აქტის პროექტის ინიციატორ სუბიექტებს. ვინაიდან რეგლამენტიც სამართლებრივი აქტია და სპეციალური ნორმით მისი ინიცირების სპეციალური სუბიექტებია განსაზღვრული, ამ მუხლში ტექნიკურად კეთდება მითითება, რომ ეს ინიციატორები რეგლამენტის პროექტზე არ ვრცელდება.

13. ბიუჯეტის პროექტსა და მისი შესრულების წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებით საკრებულოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ამ საკითხზე საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი შეიძლება იყოს მერი, ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენელი. ამ დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმჯობესია, რომ ისინი მერმა წარმოადგინოს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იყოს შესაძლებელი მისი ჩანაცვლება მოადგილით ან სამსახურის უფროსით. შესაბამისად, ამ ნორმაში მიეთითება, რომ ბიუჯეტის პროექტსა და გამოთქმულ შენიშვნებზე მერის დასკვნას საკრებულოს სხდომაზე

წარადგენს მერი, ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, თუ მერი საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს მის წარდგენას. ამგვარი წესი გააუმჯობესებს საკრებულოს წინაშე მაღალი თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულების სტანდარტს. აქვე, წინადადებაში, სადაც მითითებული იყო მერის დასწრების მიზანშეწონილობაზე, მერზე მითითება ჩანაცვლდება მოადგილით, ვინაიდან მერი მომხსენებლად განისაზღვრება.

14. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში რეგლამენტით არაა განსაზღვრული საკრებულოს მომდევნო ნაბიჯები. შესაბამისად, 83-ე მუხლს ემატება პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილი იქნება გასცეს რეკომენდაციები, ან დააყენოს შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

15. რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვის წარდგენის მარეგულირებელი ნორმა, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში მას უსმენს საკრებულო. შესაბამისად, რეგლამენტს ემატება მუხლი, რომელიც ამ პროცედურას გაწერს. უფრო კონკრეტულად:

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. საკრებულოს შესაბამისი კომისია განიხილავს ბიუჯეტის კვარტალურ შესრულების მიმდინარეობას და წარუდგინოს საკრებულოს ბიუროს. ბიუროს გადაწყვეტილებით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში შეიძლება შეტანილი იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში. საკრებულო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმდინარეობას იხილავს წარდგენიდან 1 თვის ვადაში და ღებულობს ცნობად. რეგულირება აღებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტიდან.

16. რეგლამენტის 103-ე მუხლით გათვალისწინებულია სხდომების ოქმებში მისათითებული ინფორმაცია. ნორმას ემატება ასევე საკითხებთან მიმართებაში დასმული კითხვების და შესაბამისი პასუხების სხდომის ოქმში ასახვის ვალდებულება. ეს შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირს, ოქმიდან სრულყოფილად მიიღოს განხილვების თაობაზე ინფორმაცია.

17. ახლებურად ყალიბდება რეგლამენტის ის ნორმები, რომლებიც გაწერს საკრებულოს საკონტროლო მექანიზმებს. პირველ რიგში იზრდება საზედამხედველო მექანიზმების ჩამონათვალი და მასში აისახება ყველა ის მექანიზმი, რომელიც შეიძლება როგორც საკრებულომ, ისე კომისიამ, ცალკეულმა წევრმა, კომისიამ, ფრაქციამ ან გარკვეულმა ჯგუფმა გამოიყენოს. ამ მექანიზმების თაობაზე დაწვრილებითი რეგულირებები გადანაწილებულია შესაბამის თავებში (მაგალითად, კომისიის მექანიზმები კომისიის თავშია ასახული). რაც შეეხება სხვა მექანიზმებს, უმეტესობა მათგანს რეგლამენტის არსებული რედაქციაც ითვალისწინებს, თუმცა არასრულყოფილი სახით, და წარმოდგენილი პროექტით ხდება მათი დაზუსტება და პროცედურების განვრცობა. უფრო კონკრეტულად:

ა) 106-ე მუხლში ზუსტდება დეპუტატების წერილობითი და ზეპირი შეკითხვების გაგზავნის/დასმის წესი. გაიწერა პასუხის გაცემის ვადები კოდექსის შესაბამისად. ზეპირ შეკითხვაზე წერილობით პასუხის გაცემის მოთხოვნის შემთხვევაში დაზუსტდა ვადა. გამოირიცხა წერილობითი შეკითხვისა და ინტერპელაციის პროცედურის შესაძლო გადაკვეთის შემთხვევები. გაიწერა საკრებულოს ვალდებულება, სადეპუტატო შეკითხვები, მიღებული პასუხები და დოკუმენტაცია გამოაქვეყნოს საკრებულოს ვებგვერდზე (გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც კანონით დაცულ მონაცემებს შეიცავს). დაემატა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის ვალდებულება, კალენდარული წლის კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღისა შეისწავლოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების (გარდა სრული წერილობითი პასუხის წარდგენის მოთხოვნისა) შესაბამისად საკრებულოს წევრის წერილობით შეკითხვაზე რეაგირების საკითხი. კომისია საკრებულოს წევრის წერილობით შეკითხვაზე რეაგირების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. ბიურო კი უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნებასაც.

ბ) დაიხვეწა ინტერპელაციის პროცედურაც. ინიციატორ სუბიექტებში განისაზღვრა ფრაქცია და საკრებულოს წევრთა არანაკლებ 3 კაციანი ჯგუფი. ინიციატორი სუბიექტებიდან გამოირიცხა კომისია, ვინაიდან ის არ წარმოადგენს პოლიტიკური ხასიათის ორგანოს საკრებულოში. ინტერპელაციის ადრესატებად კი განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მერი, მისი მოადგილე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი. გაიწერა ინტერპელაციის წესით დასმული წერილობითი შეკითხვის გაგზავნის წესი. ის ჩაბარდება საკრებულოს აპარატს, რომელიც აღრიცხავს მას და არაუგვიანეს მე-2 დღისა გაუგზავნის შესაბამის ადრესატს. მუნიციპალიტეტის მერი, მისი მოადგილე ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ინტერპელაციის წესით გაგზავნილ შეკითხვაზე წერილობით პასუხს საკრებულოს გამოუგზავნის მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 კვირისა. ინტერპელაციის წესით საკითხი შეიტანება ადრესატის მიერ პასუხის წარმოდგენის შემდეგ ჩანიშნულ საკრებულოს უახლოესი მორიგი სხდომის დღის წესრიგში. გაიწერა საკრებულოს სხდომაზე პასუხის განხილვის პროცედურა, წუთები და გამომსვლელთა თანმიმდევრობა. დადგინდა დებატების გამართვის სავალდებულობა. ასევე მიეთითა, რომ ინტერპელაციაზე არ გავრცელდება რეგლამენტით გათვალისწინებული დებატების შეზღუდვის წესი. გარდა ამისა, დაკონკრეტდა ინტერპელაციის პროცედურის დასრულების შემდეგ საკრებულოს რეაგირების ზომა - ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, ინტერპელაციის ავტორის ინიციატივით, საკრებულო კენჭს უყრის საკითხს, გაიცეს თუ არა შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ რეკომენდაციები. ამავე გადაწყვეტილებაში მიეთითება რეკომენდაციების წარდგენის ვადა. ვინაიდან ეს საკითხი დამოუკიდებლად ინიცირებასა და განხილვას საჭიროებს, მიეთითა, რომ რეკომენდაციების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი განკარგულების პროექტის ინიცირების უფლება ექნება რეგლამენტით განსაზღვრულ, სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტებს. განკარგულების პროექტი განიხილება და მიიღება რეგლამენტით დადგენილი წესით.

გ) 108-ე მუხლი საკრებულოს ბიუროს მიერ ანგარიშების მოსმენის წესად ჩამოყალიბდა. დაზუსტდა პროცედურა და ვადები. კერძოდ: საკრებულოს ბიურო, თავისი გადაწყვეტილებით, მოისმენს თვითმმართველობის თანამდებობის პირების ანგარიშებს, მისცემს მათ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში დააყენებს მათ პასუხისმგებლობის საკითხს. ამ ფუნქციის შესასრულებლად, საკრებულოს ბიურო ყოველი წლის იანვარში შეადგენს ანგარიშების მოსმენის გრაფიკს. შესაბამისი სამსახურის მოსმენის თარიღი კი შესაძლოა დაემთხვეს ამ ტიპის ანგარიშების კომისიის მიერ განხილვის პერიოდს.

დ) 109-ე მუხლში დამოუკიდებელ პროცედურად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლის საკითხი. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებული იქნება საკრებულოს შესაბამის კომისიას ყოველკვარტალურად წარუდგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. კომისია უზრუნველყოფს კვარტალური ანგარიშის დამუშავებას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციას. კომისია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას, რომელსაც წარუდგენს ბიუროს. საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ყოველკვარტალური ანგარიში განიხილება საკრებულოს სხდომაზე. ასევე დადგინდა ამ ანგარიშების მოსმენის ვადაც: საკრებულოს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს პირველი მარტისა, მოისმენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში საკრებულოს წარედგინება 1 თებერვლამდე. საკრებულო დადებითად, დამაკმაყოფილებლად, ან უარყოფითად შეაფასებს კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციას. ეს პირი ვალდებული იქნება ასევე საკრებულოს კომისიასა და საკრებულოს ბიუროს მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებით წარუდგინოს იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

18. რეგლამენტს ემატება 5 საკონტროლო მექანიზმის მარეგულირებელი ნორმა, რომლებიც საკრებულოს რეგლამენტში ან კოდექსში ამჟამადაც არსებობს, თუმცა საჭირო იყო პროცედურის დაზუსტება და გაუმჯობესება. კერძოდ:

ა) საკრებულოს რეგლამენტით არაა გაწერილი კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმის ზუსტი პროცედურა - საკრებულოს მიერ მერის საქმიანობის ანგარიშის განხილვა. შემოთავაზებული რეგულირების მიხედვით, მერი წლიურ ანგარიშს საკრებულოში წარადგენს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო საკრებულოს მორიგი არჩევნების წელს - შესაბამისი წლის ნოემბერში. ეს უკანასკნელი მოწესრიგება აუცილებელია იმისთვის, რომ უფლებამოსილების ბოლო წელი ანგარიშგების გარეშე არ დარჩეს. მერის ანგარიში გაეგზავნება ფრაქციებსა და საკრებულოს უფრაქციო წევრებს. მერის მიერ ანგარიშის წარდგენიდან არაუადრეს 7 დღისა საკრებულოს ბიუროს ანგარიში შეაქვს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში. მერის ანგარიში განიხილება რეგლამენტის გათვალისწინებული ორდინარული წესით. განხილვის შემდეგ საკრებულო მიიღებს განკარგულებას, რომელშიც მიუთითებს ანგარიშის დამაკმაყოფილებლად, დადებითად ან

უარყოფითად შეფასების თაობაზე. რაც შეეხება რიგგარეშე ანგარიშს, მას მერი საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით წარუდგენს საკრებულოს რიგგარეშე ანგარიშს. რიგგარეშე ანგარიშის განხილვაზე ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.

ბ) რეგლამენტს ასევე ემატება კოდექსით გათვალისწინებული კიდევ ერთი მექანიზმის პროცედურა, ესაა საკრებულოს მიერ წინა წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვა. შემოთავაზებული რეგულირების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი არაუგვიანეს თებერვლისა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს. მას ბიუროს გადაწყვეტილებით განიხილავს შესაბამისი დარგობრივი კომისია/კომისიები. კომისია განხილვის შედეგად შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს ბიუროს. აღნიშნული ანგარიში ბიუროს განსახილველად შეაქვს საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. საკრებულო მას განიხილავს არაუგვიანეს 1 მაისისა. ანგარიშის განხილვის შემდეგ საკრებულო აფასებს ანგარიშს (დადებითი, დამაკმაყოფილებელი, უარყოფითი) და უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოების მიმართ გასცეს რეკომენდაციები.

გ) საკრებულოს რეგლამენტის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს თანამდებობის პირის საკრებულოს სხდომაზე მოწვევის შესაძლებლობას, თუმცა მისი ბუნდოვანი შინაარსის გამო ამ ნორმის ამოღებაა შემოთავაზებული (იხ. ზემოთ). მის ნაცვლად წარმოდგენილია უფრო სრულყოფილი პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირის საკრებულოს სხდომაზე გამოცხადებას. რეგულაცია მსგავსი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი ნორმებისა. ახალი რეგულაციის მიხედვით:

საკრებულო კომისიის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომაზე იწვევს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს. თითოეული მათგანი ვალდებულია გამოცხადდეს საკრებულოს სხდომაზე, ამ მუხლით დადგენილი წესით პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საკრებულოს სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის თაობაზე კომისიის ან ფრაქციის გადაწყვეტილება წარედგინება საკრებულოს ბიუროს, რომელსაც საკითხი შეაქვს საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი კომისიის ან ფრაქციის წარმომადგენელს თანამდებობის პირის მოწვევის მოთხოვნის დასაბუთებისთვის ეძლევა დრო არაუმეტეს 10 წუთისა, რის შემდეგაც საკითხს კენჭი ეყრება. საკრებულოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს. მოწვეული პირი საკრებულოს წინაშე წარდგება და ისაუბრებს იმ საკითხებზე, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა. შესაბამის საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლისთვის თანამდებობის პირს ეძლევა 30 წუთი. თანამდებობის პირის მოხსენების დასრულების შემდეგ, 30 წუთის განმავლობაში საკრებულოს წევრებს უფლება ექნებათ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას და მოისმინონ პასუხები. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 30 წამით, დაზუსტების უფლების გარეშე. საკრებულოს წევრს უფლება აქვს, შეკითხვით

გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირი საკრებულოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ცალ-ცალკე უპასუხებს.

თანამდებობის პირის სიტყვით გამოსვლისა და კითხვა-პასუხის შემდეგ დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შესაძლოა გაიმართოს დებატები რეგლამენტის 52-ე მუხლის შესაბამისად. დებატების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირს ეძლევა 15 წუთი დასკვნითი გამოსვლისთვის.

თანამდებობის პირის მოსმენის შემდეგ საკრებულო კენჭს უყრის საკითხს, გაიცეს თუ არა შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ რეკომენდაციები. ამავე გადაწყვეტილებაში მიეთითება რეკომენდაციების წარდგენის ვადა. ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი განკარგულების პროექტის ინიცირების უფლება აქვს რეგლამენტის მიხედვით სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტებს. განკარგულების პროექტი განიხილება და მიიღება რეგლამენტით დადგენილი წესით.

დ) საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ცალკე მუხლად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის პროცედურა და ის უცვლელად არის გადატანილი არსებული რეგულირებიდან.

ე) რეგლამენტით გაიწერება კიდევ ერთი პროცედურა, რომელიც მხოლოდ კოდექსითაა გათვალისწინებული, თუმცა საჭიროებდა მის დაზუსტებას რეგლამენტის დონეზე. ესაა საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება. შემოთავაზებული რეგულაცია შემდეგია: თუ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის თანამდებობის პირის ან სხვა მოხელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან/და საქართველოს კანონმდებლობას, საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას მისი სასამართლოში გასაჩივრების შესახებ. ეს საკითხის ინიციატორი შეიძლება იყოს კომისია ან ფრაქცია. ბიუროს მიერ საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიას, თუ ეს კომისია არაა საკითხის ინიციატორი. საკრებულო გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

19. ცვლილება ხორციელდება გენდერული თანასწორობის საბჭოს მარეგულირებელ ნორმაშიც. კერძოდ, ემატება ნორმა, რომლის მიხედვითაც, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში საკრებულოს წევრები შევლენ ფრაქციათა და უფრაქციო წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით. ამ მიმართულებით საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის გაძლიერების მიზნით კი განისაზღვრება, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო გენდერული თანასწორობის საკითხებზე მერიის საქმიანობის კონტროლისათვის უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს ამ რეგლამენტითა და საბჭოს დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

20. ცვლილება შედის რეგლამენტის 124-ე მუხლში და ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, დეპუტატის საქმიანობის ანგარიშში საკრებულოს წევრი მიუთითებს აგრეთვე რეგლამენტით მისთვის მინიჭებული კონტროლის მექანიზმების გამოყენების თაობაზე.

21. საკრებულოს რეგლამენტის მოქმედი რედაქცია აღმასრულებელი უწყებების მიერ საკრებულოს რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში არ ითვალისწინებს ქმედით ზომებს. ამის გამოსასწორებლად რეგლამენტს ემატება პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ზომების მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ:

რეგლამენტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა კანონით და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით დაეკისრება მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებს, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ევალებათ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) მოწვეულია საკითხის განხილვაზე და არ ცხადდება;

ბ) არღვევს საკრებულოს წევრის შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დაწესებულ პროცედურას;

გ) არ ცხადდება საკრებულოს სხდომის მიერ დანიშნულ მოსმენაზე;

დ) საკრებულოს აწვდის დამახინჯებულ ან არასწორ ინფორმაციას;

ე) არ ასრულებს საკრებულოს გადაწყვეტილებებს;

ვ) დაბრკოლებებს უქმნის საკრებულოს წევრს ამ რეგლამენტითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებაში.

განისაზღვრება, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისია განიხილავს რეგლამენტის დარღვევის ფაქტს და საკითხს სათანადო რეაგირებისათვის გადასცემს საკრებულოს ბიუროს.

22. რაც შეეხება რეაგირების ზომებს, რეგლამენტის დარღვევისათვის საკრებულოს შეუძლია მიმართოს რეაგირების შემდეგ ფორმებს:

ა) მიიღოს განკარგულება დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სათანადო რეაგირების ზომების მისაღებად;

ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს მიმართოს წარდგინებით მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ.

ასევე განისაზღვრება, რომ საკრებულოს სხდომაზე მოწვეული პირი ვალდებული იქნება სხდომის დროს წესრიგი დაიცვას. მას ეკრძალება მოქმედება, რომელიც ხელს უშლის საკრებულოს ან საკრებულოს წევრს ფუნქციების შესრულებაში. კენჭისყრისას მან თავი უნდა შეიკავოს შედეგისადმი პირადი დამოკიდებულების გამოხატვისაგან. წესრიგის დამრღვევ სტუმრებს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ შეიძლება დაატოვებინოს სხდომათა დარბაზი.

23. არსებული რეგულაციით, საკრებულოს რეგლამენტის პროექტის ინიცირების უფლება შეზღუდულ პირთა წრეს აქვს. ვინაიდან ეს რეგლამენტი მთლიანად საკრებულოს სამუშაო და

სახელმძღვანელო დოკუმენტია, ფართოვდება ინიციატორთა წრე და მათ ემატება ფრაქცია და კომისია, ხოლო ბიურო ამოდის ინიციატორთა წრიდან, ვინაიდან მას უფლება აქვს ეს დავალება კომისიაზე ისედაც გასცეს, შესაბამისად, არ არსებობს მისი ინიციატორად გაწერის საფუძველი. შესაბამისი ცვლილება შედის 131-ე მუხლის მე-2 პუნქტში.

სწორდება გარკვეული სახის ტექნიკური ხარვეზები და ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებული ნორმები.

ბ) მითითება საკრებულოს იმ აქტზე, რომელიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ან რომელშიც უნდა შევიდეს ცვლილება (შესაბამისი მუხლის ან პუნქტის მითითებით);

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს კომისიების დებულებებში.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს ამ პროექტის მიღება;

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები დაკავშირებული არ არის ფინანსურ ხარჯებთან

დ) პროექტის მიღების სავარაუდო ვადა;

2023 წლის ოქტომბერი.

ე) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა.

ვ) პროექტის ავტორი (ავტორები):

-პროექტი შეიმუშავა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“;

-უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში: თამარ ახალაძე;

-საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე: მარიტა მგალობლიშვილი.

ზ) საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე: მარიტა მგალობლიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: ირაკლი კუჭავა

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2023 წლის ----------

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად საკრებულომ გაწყვიტა:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: **მარიტა მგალობლიშვილი**

პროექტი

დადგენილება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.05.2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016468) პირველი მუხლით დამტკიცებულ დადგენილების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად დაწყებისთანავე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება მთავრდება ამ უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე ან ვადამდე შეწყვეტისთანავე“.

2.მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს წევრი უფლებამოსილია შეუფერხებლად შეხვდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს საკრებულოს წევრი. ამ პუნქტის შესაბამისად გამართული შეხვედრების თაობაზე ინფორმაციას საკრებულოს წევრი ასახავს წლიურ ანგარიშში.“.

4. მე-5 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი V

საკრებულოს კომისიები“.

5.მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა. მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტს“.

ბ. მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ. უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დაუყოვნებლივ შეტანას“.

გ. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ)ამტკიცებს (გარდა ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომისა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრულ და წარდგენილ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს”;

6. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ახალი კომისიის შექმნა (მაგრამ არა უმეტეს მთლიანობაში 5 კომისიისა), არსებული კომისიის გაუქმება ან კომისიათა გაერთიანება შესაძლებელია რეგლამენტის შესაბამის მუხლში ცვლილების შეტანის გზით ამ რეგლამენტის 131-ე მუხლით დადგენილი წესით.“.

7. მე-20 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამ რეგლამენტის 27^1 მუხლის შესაბამისად აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

8. 21-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ამ რეგლამენტის 27^1 მუხლის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;“.

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კომისიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ამ რეგლამენტის 96-ე მუხლით დადგენილი წესით გადარჩევის, თანამდებობიდან გადადგომის, მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევაში“.

9. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში;

ბ) კომისიიდან გამოსვლის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის შემთხვევაში“.

10. 23-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს მიერ კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში.“

ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. კომისიისთვის ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით წარდგენილი საკითხი გადაეცემა კომისიის მომდევნო სხდომას.“.

11. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

12. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 27^1 – 27^5 მუხლები:

„მუხლი 27^1. კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე

1. კომისია აკონტროლებს მისი დარგობრივი სფეროსთვის მიკუთვნებული საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების, აგრეთვე კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მდგომარეობას.

2. საკრებულოს და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლის მიზანია მერიის სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება, მათი შესრულების მდგომარეობის და ეფექტიანობის შესწავლა და გაანალიზება, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების, სამართლებრივი აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების იდენტიფიცირება, აგრეთვე მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განხილვა.

3. საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, აგრეთვე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლის მიზნით, კომისია უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტები, რეგლამენტით დადგენილი წესით მოიწვიოს თანამდებობის პირები კომისიის სხდომაზე.

4. კომისია საკუთარ წლიურ სამუშაო გეგმაში მიუთითებს საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის თაობაზე, თუკი ამ აქტის მიღებიდან გასულია სულ მცირე 1 წელი მაინც.

5. კომისია საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების, აგრეთვე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლს ახორციელებს მისი ძალაში შესვლის დღიდან.

6. კომისია მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, სამართლებრივი აქტების) აღსრულების კონტროლის განხორციელების თაობაზე შეიმუშავებს ანგარიშს, რომელშიც მიეთითება შესაბამისი გადაწყვეტილების შინაარსი, აღმასრულებელი უწყების მოვალეობები,

კონტროლის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები, გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

7. კომისიის წარდგინებით, საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანოს საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტ(ებ)ის აღსრულების საკითხი.

8. საკრებულოს კომისიის მოხსენება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულების მდგომარეობის, ეფექტიანობის, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო შესწორებების შეტანის შესახებ.

9. ინფორმაციების მოსმენის შემდეგ საკრებულო აფასებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულების მდგომარეობას და უფლებამოსილია დააყენოს შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 27[2]. კონტროლი მერიის სამსახურების საქმიანობაზე

1. საკრებულოს კომისიები დარგების მიხედვით აკონტროლებენ მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობას, წელიწადში ერთხელ ისმენენ მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს და დასკვნებს და წარუდგენენ საკრებულოს სხდომას განსახილველად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის ფარგლებში, მერიის სამსახური ყოველი წლის 1 თებერვლამდე საკრებულოს შესაბამის კომისიას წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს.

3. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მერიის ერთი სამსახურის საქმიანობის ანგარიში შესაძლოა რამდენიმე კომისიამ განიხილოს.

4. კომისია/კომისიები მერიის შესაბამისი სამსახურის წლიურ ანგარიშს განიხილავს ანგარიშის წარდგენიდან 2 თვის ვადაში. კომისია განხილვის შედეგად სამსახურის საქმიანობას აფასებს დადებითად, დამაკმაყოფილებლად ან უარყოფითად, რის თაობაზეც იღებს დასკვნას. არსებობის შემთხვევაში, დასკვნაში აისახება კომისიის რეკომენდაციები შესაბამისი სამსახურის მიმართ.

5. კომისიის წარდგინებით, საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანოს მერიის შესაბამისი სამსახურის ანგარიშის მოსმენის საკითხი.

6. საკრებულო კომისიის დასკვნის წარდგენიდან უახლოეს სხდომაზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურის ანგარიშს. მოსმენის შემდეგ საკრებულო სამსახურის საქმიანობას აფასებს დადებითად, დამაკმაყოფილებლად ან უარყოფითად, რის თაობაზეც იღებს დასკვნას. არსებობის შემთხვევაში, დასკვნაში აისახება საკრებულოს რეკომენდაციები შესაბამისი სამსახურის მიმართ.

მუხლი 27[3]. თემატური მომხსენებელი

1. საკრებულოს სამართალშემოქმედებითი, საზედამხედველო და სხვა საქმიანობის უკეთ წარმართვის, აგრეთვე საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის და საკრებულოს წევრთა შორის შრომის განაწილების მიზნით კომისიის წევრი კომისიის კომპეტენციის ფარგლებში, ამ მუხლით დადგენილი წესით ინიშნება თემატურ მომხსენებლად.

2. თემატური მომხსენებლის სამუშაო სფერო/სფეროები ან მიმართულება/მიმართულებები განისაზღვრება ყოველწლიურად, კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად.

3. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს, მათი ინიციატივის გათვალისწინებით, კომისიის სამუშაო გეგმის ვადით ნიშნავს თემატურ მომხსენებლებად. კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სამუშაო სფეროსთვის/მიმართულებისთვის პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი თემატური მომხსენებელი საკრებულოს უმრავლესობაში შემავალ საკრებულოს წევრთაგან და, სურვილის შემთხვევაში, ერთი თემატური მომხსენებელი იმ ფრაქციების წევრთაგან და უფრაქციო საკრებულოს წევრთაგან, რომლებიც შედიან ოპოზიციაში. ერთსა და იმავე სამუშაო სფეროში/მიმართულებაში მესამე და ყოველი მომდევნო თემატური მომხსენებლის დანიშვნა დასაშვებია კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით. თუ საკრებულოში უმრავლესობა არ არის შექმნილი, ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებს ფრაქციების და უფრაქციო წევრთა მიმართ.

4. თუ კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაო სფეროში/მიმართულებაში არავინ გამოთქვამს თემატურ მომხსენებლად ყოფნის სურვილს, კომისიის თავმჯდომარე თავად განსაზღვრავს თემატური მომხსენებლების ვინაობას.

5. თემატური მომხსენებლების ერთიანი სია, შესაბამისი სამუშაო სფეროს/მიმართულების მითითებით, კომისიების მიხედვით ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

6. თემატური მომხსენებელი ვალდებულია კომისიის კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხები (მათ შორის, სამართლებრივი აქტების პროექტები) მისთვის მიკუთვნებული სამუშაო სფეროს/მიმართულების მიხედვით გააანალიზოს და მოამზადოს მოხსენება, რომელსაც საკითხის განხილვისას წარუდგენს კომისიას.

მუხლი 27[4]. თემატური მოკვლევა

1. აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, საკრებულოს წევრთაგან, კომისიის ან გენდერული თანასწორობის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.

2. კომისიის წევრი უფლებამოსილია კომისიას წარუდგინოს შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით მომზადებული თემატური მოკვლევის საკითხი/საკითხები. აღნიშნულ საკითხზე/საკითხებზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრის მიერ წარდგენილი აქტუალური საკითხიდან/საკითხებიდან

გამომდინარე, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების და თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ.

4. თემატური მოკვლევის საკითხი და ინფორმაცია საკრებულოს იმ წევრთა შესახებ, რომლებმაც დაადასტურეს მოკვლევაში მათი მონაწილეობა, წარედგინება საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას. თუ აღმოჩნდება, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მოკვლევის სურვილი გამოითქვა სხვადასხვა კომისიაში, საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მოკვლევაში მონაწილე საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ.

5. მოკვლევის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა თემატური მოკვლევის ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსება. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საკითხის დასახელებასა და მოკლე აღწერას, ინფორმაციას საკითხზე მომუშავე საკრებულოს წევრის/წევრების შესახებ, აგრეთვე დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესსა და ვადებს.

6. საკითხზე მომუშავე თემატური მოკვლევის ჯგუფი ადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და გრაფიკს, განსაზღვრავს მის შესწავლაში მონაწილე სპეციალისტებს, ხელმძღვანელობს საკითხის შესწავლას, პასუხისმგებელია საკითხის დამუშავებისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისთვის, სწავლობს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, უფლება აქვს, ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის შესასწავლად საჭირო ინფორმაცია და ახსნა-განმარტება. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

7. საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულოა გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზედაც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი. საკითხის მოსმენის გამართვის შესახებ ინფორმაცია 1 კვირით ადრე ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

8. თემატური მოკვლევის ჯგუფი მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება საკრებულოს ბიუროს ან შესაბამის კომისიას. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვით.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული დასკვნა საკრებულოს ბიუროს წარედგინება, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით თემატური მოკვლევის ჯგუფი სხვადასხვა კომისიის წევრებისგან შედგება ან საკითხზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება გენდერული თანასწორობის საბჭომ მიიღო.

10. თუ საკითხზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება კომისიამ მიიღო, თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა წარედგინება კომისიას. კომისია უფლებამოსილია ეს დასკვნა წარუდგინოს საკრებულოს ბიუროს.

11. ბიურო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხი შეიტანოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. საკრებულოს სხდომაზე საკითხი განიხილება რეგლამენტის 50-ე მუხლით დადგენილი წესით.

12. დასკვნის საფუძველზე შესაბამისი კომისია ან საკრებულო შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. კომისიის და საკრებულოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.

მუხლი 27[5]. კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრება, კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოსმენა

1. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი (მერი, მერის მოადგილე, მერიის სამსახურის უფროსი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი) უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს კომისიის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია კომისიის სხდომას დაესწროს კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთანავე, ფრაქციას კომისიის სხდომაზე სავალდებულო წესით მოწვევის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავს ამ კომისიაში წევრი. წერილობითი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს კომისიის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. კომისიის სხდომაზე მოწვეულ პირს უფლება აქვს, არ ისაუბროს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესით მისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი.

3. კომისიის სხდომაზე მოწვევის შესახებ კომისიის მოთხოვნას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს ფრაქციის მიმართვიდან ან კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა უგზავნის კომისიის თავმჯდომარე. კომისიის სხდომაზე მოწვევის შესახებ მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 1 კვირისა. კომისია მოწვეულ პირს უსმენს ამ ვადის გასვლიდან პირველსავე სხდომაზე. ამ წესის შეცვლა შესაძლებელია მოწვევის ინიციატორსა და მოსაწვევ პირს შორის შეთანხმების შემთხვევაში.

4. კომისიის სხდომაზე სავალდებულო წესით მოწვეულ პირს სიტყვით გამოსვლისთვის ეძლევა 20 წუთი, რომელიც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 წუთით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის მოხსენების დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში. თავდაპირველად შეკითხვას სვამს მოწვევის ინიციატორი. შეკითხვების დრო სამართლიანად უნდა განაწილდეს ფრაქციებს/უფრაქციო წევრებს შორის. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირი საკრებულოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ცალ-ცალკე უპასუხებს.

6. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია პერიოდულად შეისწავლის კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრებისა და კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოსმენის საკითხს. ამ მიზნით საკრებულოს კომისიები კალენდარული წლის ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას უგზავნიან თანამდებობის პირის მიმართვას კომისიის სხდომაზე მოსმენის მოთხოვნის თაობაზე და კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის შესახებ მოთხოვნებს, აგრეთვე ინფორმაციას კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის დასწრების/მოსმენის გამართვის თაობაზე.

7. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ამ მუხლის მე-6 პუნქტით კომისიებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან 15 დღეში შეისწავლის მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას, მათ შორის, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია აღნიშნული ინფორმაციის შესწავლის შედეგებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

10. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირის მიმართვა კომისიის სხდომაზე მოსმენის მოთხოვნის თაობაზე და კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის შესახებ მოთხოვნები ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე.“.

13. 28-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

14. დაემატოს შემდეგი შინაარსის V[1] თავი:

„თავი V[1]

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი

მუხლი 28[1]. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა

1. საკრებულო დროებით სამუშაო ჯგუფს ქმნის მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიცირების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, კომისიას, ფრაქციას, საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ს.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ინიციატივაში მითითებული უნდა იყოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი, გამოსაკვლევ საკითხთა წრე, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და წევრთა რაოდენობა.

4. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ, არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. საკრებულოს გადაწყვეტილებაში მიეთითება ჯგუფის შექმნის მიზანი, გამოსაკვლევ საკითხთა წრე, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და წევრთა რაოდენობა. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საკრებულო აცხადებს შესვენებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დღესვე, საკრებულოს ბიურო სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების მიზნით ამტკიცებს კვოტებს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კვოტების შესაბამისად ფრაქციები და უფრაქციო წევრები დროებით სამუშაო ჯგუფში წარადგენენ კანდიდატურებს. დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, მათ შორის, თავმჯდომარეს, იმავე ან მომდევნო დღეს ამტკიცებს საკრებულო ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი კვორუმით.

7. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით. დროებით სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

8. თუ შესაბამისი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩენილია 3 თვეზე ნაკლები, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა დაუშვებელია. საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე ყველა დროებით სამუშაო ჯგუფს უწყდება უფლებამოსილება. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია აღნიშნულ დრომდე წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

9. დროებითი სამუშაო ჯგუფი იქმნება მხოლოდ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და უქმდება ამ მუხლით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

10. საკრებულოს შეუძლია დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ, არა ნაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა, მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებისა და საკითხის შესწავლის შეწყვეტის ან დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის შეცვლის შესახებ.

11. უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დროებითი სამუშაო ჯგუფი ვალდებულია წარმოადგინოს გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა განსახილველ საკითხზე. საკრებულო, უახლოეს სხდომაზე ისმენს დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ საკრებულო უწყვეტს უფლებამოსილებას დროებით სამუშაო ჯგუფს, ამასთან, საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით საკრებულო უფლებამოსილია ამ რეგლამენტით დადგენილი წესით იმავე საკითხზე შექმნას ახალი დროებითი სამუშაო ჯგუფი.

12. დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის გადარჩევა, დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის წარმართვის, სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების, დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობის, მისი საქმიანობის უზრუნველყოფისა და ოქმის შედგენის წესი განისაზღვრება საკრებულოს კომისიისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესების შესაბამისად.

13. დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, ჯგუფის წევრად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნან სხვა პირები, დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით.“.

15. VII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა“

16. 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა და გახსნა

1.საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან 30 დღეში იწვევს საკრებულოს პირველ სხდომას.

2. ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახლად არჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული საკრებულოს წევრის დროებითი მოწმობის საფუძველზე ახორციელებს საკრებულოს აპარატი. სხდომაზე დასწრებას საკრებულოს წევრები ადასტურებენ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელმოწერით.

3. საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი (სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებიდან ასაკით უფროსი) წევრი. საკრებულოს პირველ მორიგ სხდომებს, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი (სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებიდან ასაკით უფროსი) წევრი.

4.საკრებულოს უხუცესი წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე წარმართავს საკრებულოს სხდომებს, ხელმძღვანელობს საკრებულოს პირველი სხდომის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, როგორც სხდომის თავმჯდომარე ხელს აწერს საკრებულოს გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმს.

5. საკრებულოს პირველი სხდომა საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე, მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა;

გ) ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა".

17. 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.საკრებულოს პირველ მორიგ სხდომაზე საკითხები განიხილება შემდეგი თანმიმდევრობით:"

18. მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საკრებულოში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით შემოტანილი საკითხი გადაეცემა საკრებულოს მომდევნო სხდომას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა საკითხის განხილვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას და დღის წესრიგში ცვლილების შეტანას დაამტკიცებს ბიურო."

19. 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

20. 75-ე მუხლის:

ა. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოში სამართლებრივი აქტის პროექტის (გარდა რეგლამენტის პროექტისა) ინიციირების (შეტანის) უფლება აქვს:

ა) მერს;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) საკრებულოს წევრს;

დ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1%-ს, პეტიციის წესით – საკრებულოს დადგენილების პროექტის.

ე) საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს ფრაქციის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფს".

ბ. მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

21. მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბიუჯეტის პროექტსა და გამოთქმულ შენიშვნებზე მერის დასკვნას საკრებულოს სხდომაზე წარადგენს მერი, ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, თუ მერი საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს მის წარდგენას. ბიუჯეტის პროექტის განხილვისას და დამტკიცებისას, ასევე ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანისას საკრებულოს სხდომას ესწრება მერის მოადგილეებიც. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას საკრებულოს სხდომას აცნობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ან ამ კომისიის მიერ დანიშნული მომხსენებელი, ასევე საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტზე დასკვნებს წარადგენენ ფრაქციებიც.".

22. 83-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაციები, ან დააყენოს შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი.".

23. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 83[1] მუხლი:

„მუხლი 83[1]. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური შესრულების მიმოხილვა

1. ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

2. საკრებულოს შესაბამისი კომისია განიხილავს ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმდინარეობას და წარუდგინოს საკრებულოს ბიუროს.

3. ბიუროს გადაწყვეტილებით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში შეიტანება საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

4. საკრებულო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმდინარეობას იხილავს წარდგენიდან 1 თვის ვადაში და იღებს ცნობად.“

24. 86-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 91. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი გადაეცემა სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

2. სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ვალდებულია საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგინოს რეკომენდაცია დაყენებული საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

3. გადაწყვეტილება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მიიღება ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევისა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით“.

25. 97-მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 97 საკრებულოს კომისიის შემადგენლობის დამტკიცების წესი

1. საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არც ერთ ფრაქციაში. საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს შესაბამისი კომისია საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს საკრებულოს ბიურო, ხოლო ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე მათ განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულო.

2. საკრებულოს კომისიებში საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომისიაში წევრებს.

3. საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის საკითხთა კომისიას (საკრებულოს) და საკრებულოს ბიუროს. შესაბამის საკითხთა კომისია (საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს (საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

4. თუ საკრებულოს ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს საკრებულოს კომისიაში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს შესაბამის საკითხთა კომისია 1 კვირის ვადაში განსაზღვრავს და საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

5. საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც და უფლება აქვს იყოს მხოლოდ ორი კომისიის წევრი. კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს საკრებულოს სხვა კომისიის თავმჯდომარეც".

26. 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]" ქვეპუნქტი:

„ე[1]) საკითხებთან მიმართებაში დასმული კითხვები და შესაბამისი პასუხები;".

27. 105-ე - 109-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 105. საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელების ფორმები

1. საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

2. საკრებულოს და კომისიების მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ფორმებია:

ა) საკრებულოს წევრის წერილობითი და ზეპირი შეკითხვები;

ბ) ინტერპელაცია;

გ) მერიის თანამდებობის პირებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა;

დ) დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა;

ე) კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრება;

ვ) თანამდებობის პირის საკრებულოს სხდომაზე გამოცხადება;

ზ) წინა წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშების მოსმენა;

თ) თემატური მომხსენებელი;

ი) თემატური მოკვლევა;

კ) ბიუჯეტის დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მოსმენა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის კონტროლი;

ლ) საკრებულოს მიღებული სამართლებრივი აქტების აღსრულებაზე კონტროლი;

მ) საკრებულოს წევრის მიერ აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებთან შეხვედრები;

ნ) დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;

ო) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება;

პ) მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;

ჟ) მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების დამტკიცება.

მუხლი 106. საკრებულოს წევრის ზეპირი და წერილობითი შეკითხვები

1. საკრებულოს წევრს უფლება აქვს წერილობითი შეკითხვით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი.

2. წერილობითი შეკითხვის წესით შესაბამისი თანამდებობის პირისგან მოითხოვება წერილობითი ინფორმაცია კონკრეტულად განსაზღვრული საკითხის შესახებ.

3. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან, 1 კვირის ვადაში უპასუხონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შეკითხვას.

4. კითხვის ავტორთან შეთანხმებით წერილობით შეკითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით.

5. წერილობითი შეკითხვის გაგზავნისას, საკრებულოს წევრი უფლებამოსილია შესაბამის წერილში დასვას როგორც კონკრეტული შეკითხვა, ისე გამოითხოვოს დოკუმენტები.

6. ზეპირი შეკითხვის დასმის უფლება საკრებულოს წევრს აქვს საკრებულოს, კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის ან გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებზე.

7. საკრებულოს წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, თანამდებობის პირი ვალდებულია საკრებულოს წევრის მიერ დასმულ ზეპირ შეკითხვაზე გასცეს წერილობითი პასუხიც.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საკრებულოს წევრთან შეთანხმებით, პასუხის გაცემის ვადაა სხდომიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული წერილობითი შეკითხვები და მიღებული პასუხები (აგრეთვე, ზეპირ შეკითხვაზე მოთხოვნილი წერილობით პასუხები) ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე, გარდა ისეთი პასუხებისა, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. კითხვაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში გადაცილების თაობაზე აღინიშნება მისი გამოქვეყნებისას.

10. საკრებულოს წევრის ზეპირი შეკითხვები და მასზე პასუხები აისახება შესაბამისად, საკრებულოს, კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის ან გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ოქმში.

11. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია კალენდარული წლის კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღისა შეისწავლის ამ მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების (გარდა სრული წერილობითი პასუხის წარდგენის მოთხოვნისა) შესაბამისად საკრებულოს წევრის წერილობით შეკითხვაზე რეაგირების

საკითხს. კომისია საკრებულოს წევრის წერილობით შეკითხვაზე რეაგირების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. ბიურო უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

მუხლი 107. ინტერპელაცია

1. საკრებულოს ფრაქციას ან საკრებულოს წევრთა არანაკლებ 3 კაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს მუნიციპალიტეტის მერს, მის მოადგილეს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს.

2. ინტერპელაციის წესით დაყენებული საკითხი უნდა შეეხებოდეს მერის, მისი მოადგილის ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაბამის დარგში გატარებული პოლიტიკის კონკრეტულ ან ზოგად საკითხებს.

3. ინტერპელაციის წესით დაყენებული საკითხი უნდა იყოს ზუსტად და ლაკონური ფორმით ჩამოყალიბებული. მას შეიძლება ახლდეს დასაბუთებაც.

4. ინტერპელაციის წესით დასმული წერილობითი შეკითხვა ჩაბარდება საკრებულოს აპარატს, რომელიც აღრიცხავს მას და არაუგვიანეს მე-2 დღისა უგზავნის შესაბამის ადრესატს.

5. მუნიციპალიტეტის მერი, მისი მოადგილე ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ინტერპელაციის წესით გაგზავნილ შეკითხვაზე წერილობით პასუხს საკრებულოს უგზავნის მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 კვირისა.

6. ინტერპელაციის წესით საკითხი შეიტანება ადრესატის მიერ პასუხის წარმოდგენის შემდეგ ჩანიშნულ საკრებულოს უახლოესი მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

7. ინტერპელაციის წესით დაყენებულ საკითხზე ფრაქცია ან დეპუტატთა არანაკლებ 3 კაციანი ჯგუფი გამოყოფს მომხსენებელს, რომელიც წარადგენს შეკითხვას. თავდაპირველად შეკითხვის ავტორს ეძლევა 10 წუთი, ხოლო შემდეგ ადრესატს – 20 წუთი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 წუთით.

8. შეკითხვის ავტორს შესაძლებელია მიეცეს დამატებით 3 წუთი კითხვის დასაზუსტებლად, ხოლო დამაზუსტებელი კითხვის დასმის შემთხვევაში ადრესატს პასუხის გასაცემად მიეცემა არა უმეტეს 10 წუთისა.

9. ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის შემდეგ იმართება დებატები. თავდაპირველად სიტყვით გამოდიან საკრებულოს უფრაქციო წევრები, შემდეგ – ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წარმომადგენლები, ხოლო ბოლოს – უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების წარმომადგენლები. თითოეულ ფრაქციას გამოსვლისთვის მიეცემა არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო უფრაქციო წევრებს - თითოეულს არა უმეტეს 3 წუთისა. ფრაქცია მისთვის გამოყოფილი დროის ფარგლებში თავად განსაზღვრავს გამომსვლელთა რაოდენობას

და მათზე დროის გადანაწილების სქემას. დებატების შემდეგ ადრესატს ეძლევა 10 წუთი დასკვნითი გამოსვლისათვის.

10. ინტერპელაციაზე არ ვრცელდება ამ რეგლამენტის 54-ე მუხლით გათვალისწინებული დებატების შეზღუდვის წესი.

11. ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, ინტერპელაციის ავტორის ინიციატივით, საკრებულო კენჭს უყრის საკითხს, გაიცეს თუ არა შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ რეკომენდაციები. ამავე გადაწყვეტილებაში მიეთითება რეკომენდაციების წარდგენის ვადა.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი განკარგულების პროექტის ინიცირების უფლება აქვს რეგლამენტით განსაზღვრულ, სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტებს. განკარგულების პროექტი განიხილება და მიიღება რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 108. საკრებულოს ბიუროს მიერ ანგარიშების მოსმენა

1. საკრებულოს ბიურო, საკუთარი გადაწყვეტილებით, ისმენს თვითმმართველობის თანამდებობის პირების ანგარიშებს, აძლევს მათ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში აყენებს მათი პასუხისმგებლობის საკითხს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, საკრებულოს ბიურო ყოველი წლის იანვარში ადგენს ანგარიშების მოსმენის გრაფიკს. შესაბამისი სამსახურის მოსმენის თარიღი შესაძლოა დაემთხვეს რეგლამენტის 109-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების კომისიის მიერ განხილვის პერიოდს.

მუხლი 109. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლი

1. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია საკრებულოს შესაბამის კომისიას ყოველკვარტალურად წარუდგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. კომისია უზრუნველყოფს კვარტალური ანგარიშის დამუშავებას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციას.

2. კომისია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იღებს რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას, რომელსაც წარუდგენს ბიუროს.

3. საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ყოველკვარტალური ანგარიში განიხილება საკრებულოს სხდომაზე.

4. საკრებულოს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს პირველი მარტამდე ისმენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ანგარიში საკრებულოს წარედგინება 1 თებერვლამდე.

6. საკრებულო დადებითად, დამაკმაყოფილებლად, ან უარყოფითად აფასებს კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციას.

5. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია საკრებულოს კომისიასა და საკრებულოს ბიუროს მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებით წარუდგინოს იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.".

28. დაემატოს შემდეგი შინაარსის 109[1] – 109[5] მუხლები:

„მუხლი 109[1]. საკრებულოს მიერ მერის საქმიანობის ანგარიშის განხილვა

1. მერი საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. მერი წლიურ ანგარიშს საკრებულოში წარადგენს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო საკრებულოს მორიგი არჩევნების წელს - შესაბამისი წლის ნოემბერში.

3. მერის ანგარიში ეგზავნება ფრაქციებსა და საკრებულოს უფრაქციო წევრებს.

4. მერის მიერ ანგარიშის წარდგენიდან არაუადრეს 7 დღისა საკრებულოს ბიუროს ანგარიში შეაქვს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

5. მერის ანგარიში განიხილება რეგლამენტის 50-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

6. განხილვის შემდეგ საკრებულო იღებს განკარგულებას, რომელშიც მიუთითებს ანგარიშის დამაკმაყოფილებლად, დადებითად ან უარყოფითად შეფასების თაობაზე.

7. მერი საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს. რიგგარეშე ანგარიშის განხილვაზე ვრცელდება ამ მუხლის მე-3-მე-6 პუნქტები.

მუხლი 109[2]. საკრებულოს მიერ წინა წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერი არაუგვიანეს თებერვლისა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ანგარიშს ბიუროს გადაწყვეტილებით განიხილავს შესაბამისი დარგობრივი კომისია/კომისიები. კომისია განხილვის შედეგად შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს ბიუროს.

3. წინა წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში ბიუროს განსახილველად შეაქვს საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

4. საკრებულო ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშს განიხილავს არაუგვიანეს 1 მაისისა.

5. წინა წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვის შემდეგ საკრებულო აფასებს ანგარიშს (დადებითი, დამაკმაყოფილებელი, უარყოფითი) და უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოების მიმართ გასცეს რეკომენდაციები.

მუხლი 109[3]. თანამდებობის პირის საკრებულოს სხდომაზე გამოცხადება

1. საკრებულო კომისიის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომაზე იწვევს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს. თითოეული მათგანი ვალდებულია გამოცხადდეს საკრებულოს სხდომაზე, ამ მუხლით დადგენილი წესით პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

2. საკრებულოს სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის თაობაზე კომისიის ან ფრაქციის გადაწყვეტილება წარედგინება საკრებულოს ბიუროს, რომელსაც საკითხი შეაქვს საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი კომისიის ან ფრაქციის წარმომადგენელს თანამდებობის პირის მოწვევის მოთხოვნის დასაბუთებისთვის ეძლევა დრო არაუმეტეს 10 წუთისა, რის შემდეგაც საკითხს კენჭი ეყრება. საკრებულოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი საკრებულოს წინაშე წარდგება და ისაუბრებს იმ საკითხებზე, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლისთვის თანამდებობის პირს ეძლევა 30 წუთი.

5. თანამდებობის პირის მოხსენების დასრულების შემდეგ, 30 წუთის განმავლობაში საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას და მოისმინონ პასუხები. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 30 წამით, დაზუსტების უფლების გარეშე. საკრებულოს წევრს უფლება აქვს, შეკითხვით გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირი საკრებულოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ცალ-ცალკე უპასუხებს.

6. თანამდებობის პირის სიტყვით გამოსვლისა და კითხვა-პასუხის შემდეგ დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შესაძლოა გაიმართოს დებატები რეგლამენტის 52-ე მუხლის შესაბამისად. დებატების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირს ეძლევა 15 წუთი დასკვნითი გამოსვლისთვის.

7. თანამდებობის პირის მოსმენის შემდეგ საკრებულო კენჭს უყრის საკითხს, გაიცეს თუ არა შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ რეკომენდაციები. ამავე გადაწყვეტილებაში მიეთითება რეკომენდაციების წარდგენის ვადა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი განკარგულების პროექტის ინიცირების უფლება აქვს რეგლამენტის მიხედვით სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტებს. განკარგულების პროექტი განიხილება და მიიღება რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 109[4]. დამოუკიდებელი აუდიტი

1. საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3 უფლება აქვს მოითხოვოს დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა.

2. დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის მოთხოვნაში უნდა მიეთითოს საკითხთა ის წრე, რომელიც უნდა იქნეს შესწავლილი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

3. დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ მოთხოვნა წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად შეიტანოს ეს საკითხი.

4. დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/3-ისა.

5. დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საკრებულოს ამ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს სახელმწიფო აუდიტზე გასაცემი დავალების (გასაწევი აუდიტორული მომსახურების) ზუსტი შინაარსი.

6. დამოუკიდებელ აუდიტორის შერჩევა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე.

7. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ.

8. საკრებულოს მიერ დამოუკიდებელი აუდიტორი შეიძლება მოწვეული იქნეს არაუმეტეს წელიწადში ერთხელ.

მუხლი 109[5]. საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება

1. თუ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის თანამდებობის პირის ან სხვა მოხელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან/და საქართველოს კანონმდებლობას, საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას მისი სასამართლოში გასაჩივრების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხის ინიციატორი შეიძლება იყოს კომისია ან ფრაქცია. ბიუროს მიერ საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, თუ ეს კომისია არაა საკითხის ინიციატორი.

3. საკრებულო გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.".

29. 112-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გენდერული საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში საკრებულოს წევრები შედიან ფრაქციათა და უფრაქციო წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით.";

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. გენდერული თანასწორობის საბჭო გენდერული თანასწორობის საკითხებზე მერიის საქმიანობის კონტროლის მიზნით იყენებს ამ რეგლამენტითა და საბჭოს დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.".

30. 124-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშში საკრებულოს წევრი უთითებს აგრეთვე რეგლამენტით მისთვის მინიჭებული კონტროლის მექანიზმების გამოყენების თაობაზე.".

31. 130-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 130. კონტროლი საკრებულოს რეგლამენტის დაცვაზე და მისი დარღვევის შედეგები

1. საკრებულოს რეგლამენტის დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო საკრებულოს სხდომის დროს საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვაზე – საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე.

2. რეგლამენტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა კანონით და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ეკისრება მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებს, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ევალებათ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა.

3. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) მოწვეულია საკითხის განხილვაზე და არ ცხადდება;

ბ) არღვევს საკრებულოს წევრის შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დაწესებულ პროცედურას;

გ) არ ცხადდება საკრებულოს სხდომის მიერ დანიშნულ მოსმენაზე;

დ) საკრებულოს აწვდის დამახინჯებულ ან არასწორ ინფორმაციას;

ე) არ ასრულებს საკრებულოს გადაწყვეტილებებს;

ვ) დაბრკოლებებს უქმნის საკრებულოს წევრს ამ რეგლამენტითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ყოველ ასეთ შემთხვევაში სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის საკითხთა კომისია განიხილავს რეგლამენტის დარღვევის ფაქტს და საკითხს სათანადო რეაგირებისათვის გადასცემს საკრებულოს ბიუროს.".

32. დაემატოს შემდეგი შინაარსის 130[1] მუხლი:

„მუხლი 130[1]. თანამდებობის პირების მიმართ რეაგირების ფორმები

1. რეგლამენტის დარღვევისათვის საკრებულო მიმართავს რეაგირების შემდეგ ფორმებს:

ა) იღებს განკარგულებას დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სათანადო რეაგირების ზომების მისაღებად;

ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს მიმართავს წარდგინებით მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ.

2. საკრებულოს სხდომაზე მოწვეული პირი ვალდებულია სხდომის დროს წესრიგი დაიცვას. მას ეკრძალება მოქმედება, რომელიც ხელს უშლის საკრებულოს ან საკრებულოს წევრს ფუნქციების შესრულებაში. კენჭისყრისას მან თავი უნდა შეიკავოს შედეგისადმი პირადი დამოკიდებულების გამოხატვისაგან. წესრიგის დამრღვევ სტუმრებს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ შეიძლება დაატოვებინოს სხდომათა დარბაზი.".

33. 131-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს რეგლამენტის პროექტის ინიცირების უფლება აქვთ:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს;

ბ) საკრებულოს ფრაქციას;

გ) საკრებულოს კომისიას;

დ) საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედს;

ე) მოქალაქეებს პეტიციის წესით.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: **ირაკლი კუჭავა**

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება. პროექტი შესაბამისობაშია, ამავე კოდექსის 61 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. ამასთან, დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების)) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით და იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება.

პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,, შესულ ცვლილებებთან, რომელიც ეხება ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობას.ამასთან , რეგლამენტის პროექტში გათვალისწინებული საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმები სრულად შესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს.

უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი

უზრუნველყოფის საკითხებში : თამარ ახალაძე